



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 53

2014 წლის 1 აგვისტო
ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე წლის 18 ივნისის N1147844 წერილის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ამვე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსასყიდლოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონება:

ა) ძირითადი აქტივები 134919 ლარის ღირებულების, 3 ერთეული სპეციალური სახანძრო ავტომანქანა და ერთი ერთეული ვაზ-21213 „ნივა“ ღირებულების გარეშე (ამორტიზებული ავტომანქანები) დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობები 14959,73 ლარის ღირებულების დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა (ვაჟა ჩოხელი) უზრუნველყოს ქონების გადაცემა შესაბამისი აქტის გაფორმებით.

3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი